



შპს ფოთის სატრანსპორტო კომპანია
Poti Transport Company LTD



საიდენტიფიკაციო კოდი: 415108162

მისამართი:

იურიდიული - ფოთი, დავით აღმაშენებლის 12.

ფაქტობრივი - ფოთი, მშვიდობის 34ბ.

ვებ-გვერდი: potitransport.ge

„დამტკიცებულია“

15.10.2024წ. N 837.42242892 ბრძანებით



დირექტორი - ვასილ დანიელია

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

შესავალი

პოლიტიკის დოკუმენტი აღწერს შპს „ფოთის სატრანსპორტო კომპანია“-ს(შემდგომში - კომპანია“) მიდგომებს, მიზნებს, სამართლებრივ საფუძვლებს და უსაფრთხოების ზომებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის საშუალებებს.

❖ მონაცემთა სუბიექტი

კომპანიის თანამშრომელი, ყოფილი თანამშრომელი, მათი ოჯახის წევრები; ნებისმიერი მოქალაქე, რომელთა შესახებ მონაცემების დამუშავება კომპანიას უწევს კანონის შესაბამისად, ან/და კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

❖ მონაცემების შეგროვების წყარო

შრომითი ურთიერთობების ფარგლებში - მონაცემები მუშავდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან;

კანონის შესაბამისად, ან/და კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად - მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს დაწესებულებების, ასევე ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის, ასევე საჯარო წყაროების საფუძველზე.

❖ პერსონალური მონაცემების კატეგორია

ქვემოთ ჩამოთვლილი მონაცემები მუშავდება მონაცემთა დაცვის პრინციპების საფუძველზე, მიზნის პროპორციულად და დამუშავების ყველა პროცესი არ გულისხმობს ყველა მათგანის დამუშავებას. ეს დამოკიდებულია კონკრეტული საქმიანობის სპეციფიკაზე.

საიდენტიფიკაციო მონაცემები:

სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი, გარდაცვალების თარიღი და ადგილი, ეროვნება, ფოტოსურათი, ხელმოწერის ნიმუში და სხვა;

დოკუმენტების სახით წარმოდგენილი მონაცემები:

პირადობის მოწმობის ასლი, დაბადების მოწმობის ასლი, ქორწინების მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, დიპლომის ასლი, ჯანმრთელობის შესახებ ცნობა, საავადმყოფო ფურცელი, საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი (იურიდიული და ფაქტობრივი), ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი და სხვა;

სხვა ინფორმაცია:

სამსახურთან დაკავშირებული ინფორმაცია: მივლინებების, წახალისების, დისციპლინური სახდელების შესახებ; პროფესიის, მოქალაქეობის, განათლების შესახებ; ასევე, ინფორმაცია სოციალური სტატუსის და შემოსავლების შესახებ და სხვა; ოჯახური მდგომარეობის, ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია;

ფინანსური ინფორმაცია:

ინფორმაცია შრომის ანაზღაურების, ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ტრანზაქციებთან და ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაცია.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები:

ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ადმინისტრაციული პატიმრობის, ნასამართლობის, ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. ასევე ბიომეტრიული მონაცემები.

ჩანაწერები: აუდიო და ვიდეო ჩანაწერები;

კომუნიკაციისას მოპოვებული მონაცემები:

ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო გზით, ჩათის, სოციალური მედიის ან სხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მოპოვებული მონაცემები;

საჯარო მონაცემები: საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია.

❖ მონაცემთა დამუშავების მიზანი

კომპანია პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს მხოლოდ კანონიერი მიზნებისთვის და მონაცემთა დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, ეს მიზნობრიობაა:

- თანამშრომელთა შერჩევა და საჯარო სამსახურის გავლა;
- მოქალაქეთათვის კანონითა და კანონმდებლობით განსაზღვრული სერვისების გაწევა.
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

❖ მონაცემების დამუშავების საფუძველი

- მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- კანონი;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება;
- ხელშეკრულების დასაბუთება ან არსებული ხელშეკრულების შესასრულებლად მონაცემთა დაცვის აუცილებლობა;
- მომსახურების გასაწევად/განცხადების განსახილველად მონაცემთა დამუშავების საჭიროება;
- კომპანიის ან მესამე პირების კანონიერი ინტერესების დასაცავად მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა;
- მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომობა;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს კომპანია დაამუშავებს მხოლოდ, მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით, ხოლო ბიომეტრიული მონაცემების შემთხვევაში - მონაცემების დამუშავება ხდება თუ ეს აუცილებელია საქმიანობის განხორციელებისთვის, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით, აგრეთვე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

❖ მონაცემების გაზიარება

კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, სუბიექტის მონაცემები შესაძლოა გავუზიაროთ:

- მონაცემთა სუბიექტის კანონიერ წარმომადგენელს;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ ორგანოებს;
- სხვა მესამე პირს, მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.
- სხვა სახელმწიფოს, მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით საერთაშორისო გადაცემისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

❖ მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს:

მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე, კერძოდ, რა მონაცემები მუშავდება, რა არის მათი დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, ინფორმაცია მონაცემთა შეგროვების წყაროსა და მონაცემთა გადაცემის შესახებ;

გაეცნოს მის შესახებ კომპანიაში დაცულ მონაცემებს და მიიღოს თავისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების/ჩანაწერების ასლები.

მოითხოვოს მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;

მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება თუ:

- თუ გამოიხმობს თანხმობას, რაც მონაცემთა დამუშავების ერთადერთი საფუძველია;
- მონაცემების დამუშავების მიზანი მიღწეულია.

მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ:

- სადავოა მონაცემთა ნამდვილობა ან სიზუსტე;
- მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა სუბიექტს არ სურს მათი წაშლა და ითხოვს მხოლოდ მათ დაბლოკვას;
- მონაცემები აღარ არის საჭირო მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა კომპანიას ისინი ესაჭიროება სამართალწარმოების მიზნით;
- მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნის განხილვა;
- არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

ნებისმიერ დროს გაითხოვოს/უარი თქვას მონაცემთა დამუშავების თაობაზე მის მიერ გაცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს თანხმობის საფუძველზე დამუშავებული მონაცემების წაშლა. კომპანია შევწყვეტს მონაცემთა დამუშავებას და წაშლის უკვე დამუშავებულ მონაცემებს, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

❖ მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა

მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ მათი რეალიზაცია საფრთხეს უქმნის:

- სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას;
- ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- მონაცემთა სუბიექტის ან სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს
- სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;

- სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

უფლებების შეზღუდვის ზომას კომპანია გამოიყენებს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

❖ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა

მონაცემთა სუბიექტის შესახებ დამუშავებულ მონაცემებს კომპანია ინახავს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. კომპანია უზრუნველყოფს ფიზიკურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მონაცემთა დასაცავად.

კომპანია იცავს ელექტრონული მოწყობილობების, ინფორმაციული სისტემების, მატერიალური სახით არსებული დოკუმენტაციის, საქაღალდეების, შენობის უსაფრთხოებას. ფიზიკური დაცვის ღონისძიებებით, ორგანიზაციული და ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმებით, კომპანია უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას უნებართვო წვდომისგან, გამოყენებისგან, გადაცემისგან, დაკარგვისგან ან განადგურებისგან.

კომპანიის თანამშრომლებს კანონმდებლობისა და შიდა წესების საფუძველზე ვალდებულება აქვთ, უზრუნველყონ მონაცემთა კონფიდენციალურობა.

მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე პერიოდულად ტარდება თანამშრომელთა ინსტრუქტაჟი და ტრენინგები.

❖ მონაცემთა შენახვის ვადა.

- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.
- ან კონკრეტული მიზნის მიღწევის ვადით

❖ საკონტაქტო ინფორმაცია:

შესაბამის შემთხვევებში, მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ დამატებით ინფორმირებას უზრუნველყოფს - კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი სალომე ჯიქია(მობ: 593 73 75 09).

❖ ცვლილებები

წინამდებარე დოკუმენტში შესაძლებელია პერიოდულად შეტანილ იქნეს ცვლილებები დირექტორის ბრძანებით. განახლებული დოკუმენტი გამოქვეყნდება კომპანიის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე.